

პიროვნული თავისებურებების კვლევა სამხედრო მოსამსახურებში

(იუნკერებსა და ოფიცრებში)

დავით დათუაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური ფსიქოლოგია

მაია წერეთელი, ასოცირებული პროფესორი, PHD

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დავით დათუაშვილი 22.06.2018

აბსტრაქტი

კვლევა ჩატარდა ქართველ სამხედრო მოსამსახურეებში პიროვნული მახასიათებლების (კონტროლის ლოკუსის, მიღწევის მოტივაციის, თვითშეფასების) შესწავლის მიზნით. მონაცემების შეგროვება და დამუშავება მიმდინარეობდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. კვლევაში მონაწილეობას ღებულობდა 50 იუნკერი და 50 ოფიცერი, აქედან 95 იყო მამრობითი და 5 მდედრობითი სქესის ცდის პირი. კვლევაში გამოვიყენეთ როტერის კონტროლის ლოკუსის სკალა (Rotter 1966), ელერსის მიღწევის მოტივაციის საკვლევი კითხვარი (Park & Rainey 2013) და როზენბერგის თვითშეფასების სკალა (Rosenberg 1965). კვლევის მონაცემების მიხედვით: იუნკერებში მიღწევის მაღალი მოტივაცია დაკავშირებულია შინაგანი კონტროლის ლოკუსთან, ასევე შინაგანი კონტროლის ლოკუსი დაკავშირებულია მაღალ თვითშეფასებასთან, ასევე მაღალი მიღწევის მოტივაცია დაკავშირებულია მაღალ თვითშეფასებასთან. ოფიცრებში ზემოთ აღნიშნულ ცვლადებს შორის კავშირი არ დადგინდა. სტატისტიკურად სანდო განსხვავება იუნკერებსა და ოფიცრებს შორის დადგინდა მხოლოდ კონტროლის ლოკუსის შემთხვევაში. ოფიცრებში გვხვდება ძირითადად შინაგანი კონტროლის ლოკუსი, ხოლო იუნკერებში კონტროლის ლოკუსი გარეგანისკენ იხრება. თვითშეფასება ორივე ჯგუფში მაღალია. იუნკერებში გვხვდება უმეტესწილად საშუალოზე მაღალი და მაღალი მიღწევის მოტივაცია, ხოლო ოფიცრებში თითქმის თანაბარია საშუალო, საშუალოზე მაღალი და მაღალი მიღწევის მოტივაციის მაჩვენებლები. კვლევას აქვს როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული ღირებულება. მონაცემების გამოყენება შესაძლებელია იუნკერების მომზადებაში. კვლევის მონაცემები აჩვენებს, რომ შინაგანი კონტროლის ლოკუსი დაკავშირებულია მაღალი მიღწევის მოტივაციასთან, ხოლო გარეგანი კონტროლის ლოკუსი დაბალი მიღწევის მოტივაციასთან. ასევე კონტროლის ლოკუსი უარყოფითად არის დაკავშირებული თვითშეფასებასთან. მნიშვნელოვანი იქნება ამ შედეგის გათვალისწინება იუნკერების შერჩევის და მომზადების პროცესში,

ერთის მხრივ კარგი კადრების სელექციის თვალსაზრისით, ხოლო მეორეს მხრივ, ეფექტური აღმზრდელობითი საქმიანობის განსახორციელებლად.

კონტროლის ლოკუსსა და მოტივაციას შორის კვლევით დადგენილი კავშირი სასურველია მომავალი ლიდერების, კერძოდ იუნკერების მომზადების პროცესში იყოს გათვალისწინებული. კერძოდ, სასწავლო პროცესში ისეთი ფაქტორების წინ წამოწევას, რომელიც ხელს უწყობს შინაგანი კონტროლის ლოკუსის ჩამოყალიბებას: კრიტიკული აზროვნება, ინიციატივის უნარი, დამოუკიდებლობა, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, რაციონალურობა და ა.შ.

ძირითადი თემატური სიტყვები: კონტროლის ლოკუსი, თვითშეფასება, მიღწევის მოტივაცია, იუნკერი, ოფიცერი, სამხედრო.

მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელ მაია წერეთელს იმ შენიშვნებისა და რეკომენდაციებისთვის, რითიც დიდი დახმარება გამიწია წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში. ასევე უადრესი წვლილი მიუძღვის ჩემს მეგობარს და თანამშრომელს ესტატე ლელაშვილს, რომელიც მეხმარებოდა და რჩევებს მაძლევდა ნაშრომთან დაკავშირებით და გიორგი გერგაულს, რომლის შენიშვნებითაც დაიხვეწა ნაშრომი. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ფსიქოლოგებს თინიკო კროპაძეს და მაკა ქოროლიშვილს, ვის გარეშეც მონაცემების შეგროვება შეუძლებელი იქნებოდა.